

F 75
1914


საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საქართველო



საქმავალი ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1914 ი ა ნ ვ ა რ ი № 1



საქართველოს
საბჭოთაო

წილი 80-X.

№ 1.

თბილისი, 1914 წ.

24
240



1914 წ.
მოკვილოცაებს
ახალი
წელი.



შ ი ნ ა ა რ ს ი :

I — ახალწლის მილოცვა—სურათი	1
II—გულითადი თხოვნა, — ღექსი შიო მღვიმეჯისა	3
III— მოსამართლე, — გიორგისა	6
IV — პატარა ენო, — ღექსი დარია ახვლედიანის	11
V—ბავშვები, — ჯ. ჩუბუკისა. — (თარგმ.) გველეხიანისა	13
VI — გოზინაყი, — (იგაგა) ად. შირიანაშვილისა	18
VII — ზღაპარი, — (ხაფხურო) დ. აბელიშვილისა	20
VIII—გასართობი: თოვლის ფიგურები, შარადა, და რე- ბუსი	22
IX—1913 წლის შინაარსი ჟურნალი „ნაკადულისა“ შტორე წლოვანთათვის	1
X—დამშეულთა სასარგებლოდ შემომწირველთა სია. ყდაზე	2





გულითაღი თხოვნა.



ცი, დედაჲ, რასა გთხოვ,
 აგრემც გენაცვალეუბი,
 თუ გიუვარან გულითა
 შენი გოგას თხოვლები,
 სეაღ სომ თონეს გურობ,
 დილით ადრე წადა,
 ნუ დამტოვებ, ჳირიმე,
 მე გულად ვარდიანდა.

იქნებ გამოღვიძება
 ცოტა დამიგვიანდეს,
 თუ გინდა შენი ქეთო,
 რომ არ დანახვლიანდეს,

გოგასთვის რომ ამოქნა —
 სწორედ, სწორედ იმფერი,
 წეალობახანთ საბასაც
 დაუკარ ბედის კვერი:

საწეაღია — იქნება
 ბედი გამოეცვალოს...
 შემინრულე ეს თხოვნა,
 ქეთენო გენაცვალოს ..

გუშინ რომ შემომხედა
 დაგლეჯილ-დაფუტთილმა,
 ტანში გამაჟრიალა
 იმის მწარე სიცილმა;

თვალი ცრემლით აშუქსო
 და ტანჯვით გამძსუნდა,
 რომ წელიწადი არის,
 რაც აღარა ჰუაჯს დედა.

ფეხთ წინდები არ ეცვა,
 არც ჰქონდა ქალამანი,
 თითებზე წამოეცვა
 ნახევრად რაღაც ჯღანნი;

ერთ ფეხს იკანტურებდა
 მეორეზე დგებოდა,
 ვერძნობდი—ძალზე სციოდა
 და გული მიგვდებოდა.


შენი გულის ჭირბე,
 შემოგეველე თავზედა,
 იქნებ რამე იფიქრო
 წინდა-ქალამანსედა;

ნურაფერს შეგვიკერავ,
 სწორედ ჩვენ დაგვაკელი:
 ძარვალი და ხალათი
 გაუწეე ერთი ხელი;

თუ ამას ამისრულებ,
 ჩემო კარგო დედილა,
 მაშინ გამითუნდება
 ტკბილად ახალწლის დილა.

თუ არა და ტირილით
 დაეცისებ თვალებსა,
 იქნებ ცრემლით ვაბძო
 ბუდით განაწვადლებსა.

შიო მღვიმელი.





მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე



ხალწლის ღამეა. მთვარე კამკამებს. სწეტაკი თოვლი თითქო ცდილობს მთვარეს დაეხმაროს ქვეყნის განათებაში; და მართლაც ორივეს წებლობით დღესაუთ სინათლეა. კაი ხანია დაღამდა, მაგრამ სოფელს ჯერ არ სძინავს. სოკიერთ სახლებიდან გამობეჭეტავს მერთალი სინათლე. აქა-იქ მოისმის ძაღლების ეევა. სუსტი, მაგრამ სუსნიანი ქარი მოსისინებს და ეინავს ეველა ვერს; მეტად მწვავედ იკბინება უურებში და ცხვირში.

რა კარვია ამ დროს თბილ ოთახში, გახურებულ ბუხართან ჯდომა!

სწორედ რომ კარვია, და აკი იმიტომაც მისჯდომია ზატარა დათიკო ბუხარს... ხელში მამა უჭირავს და უჩინჩხილებს მუგუსლებს. ნაწერწკლები ბლომად გადადის აქეთ-იქით, და დათიკოც იმათ მქსნარის.

„ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა, ამდენი ცხენი, ამდენი ურეში ჰური, ქერი და სხვა-და-სხვა,“—ამბობს ის უოველ დაჩინჩხილებაზე.

დაძინებაზე ჯერ სრულებითაც არ ფიქრობს, თუმცა კაი



ხანია დედამ უთხრა: „შეილო, დაიძინე, გენაცვალოს ღმერთმა, გვიან არისო;“ მაგრამ, აბა, მითხარით, რა დააძინებს?

განა თქვენ რომ იქ უოფილიუაყოთ, დაგემინებოდათ? ის-ის იყო გადმოდევს ცეცხლიდან უკვე გამწვანებული გოსინაუი; მაგრამ ჯერ ძალიან ცხელია. მანც ვერ მოუთმინა გულმა



დათიკოს და ორი თითი გაუწოდა ზატარა კუთხის მოსაკლე-ჯად. ამ მსუხვაობისათვის გოსინაუმა ის კარგად დასაჯა: ძალზე მოეწვა ორივე თითი და კასაკრილელებად ცარიელი თითები ზირში იკრა.

გახურებული ბუნარი-კი მეტად მსიარულობდა, თითქო დასცინოდა დათიკოს ამ მარცხისათვის...

თაფლის ქილას ძალზე ზირი დაელო, კვკონებოდათ, უნ-



და დაიუვიროს: „სალხნო, ერთი უუერეთ, დათიკო რძეცოთნი მსუნაგა, როგორ დაიწვა თითებიო!“

იქით, თაროზე, მოხარშულ, მსუქან დედალს აუბუყრია ფეხები; მგონი ისიც დათიკოს ნიძნს უკვებდა: „ეგრე უნდა შენისთანასაო—ჩინაც ვერ მოგართვი სვალაძდისაო.“

დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ვუვლაფერი უკვე შხად იყო. მოაძინადეს საკვლეველი: დააწუეს სინზე სსვა-და-სსვა ხილი—გოზინაუი, ჩურჩხელები, კამფეტები, თხილი, კაკალი, ვაშლი, მოხარშული ქათამი, ღვინო და სსვა-და-სსვა, და დადგეს თაროზე. მძალი რომ იეივლებდა, დათიკოს მძა—თედო—უნდა ამდგარიყო, აელო საკვლეველი და ეკვლიუნა, ესე იგი—ამ სინით გავიდოდა გარედ, შემოუვლიდა სახლს გარშემო და მერე მიულოცავდა შინაურებს: „შემოვდგი ფეხი, გწუალობდეთ ღმერთი; ფეხი ჩემი—კვალი ანკელისისა.“

დათიკომ ეს იცოდა; ძალიანაც უუვარდა „კვლევის“ ცქერა. ცდილობდა არ დაემინა ამ დრომდის და ენახა, მაგრამ ამ ღამეს, ცოტა არ იყოს, ძილი მოერიდა; თან დედაც ურჩევდა დაძინებას

დაძინების წინ ცალი თვალით ერთხელ კიდევ გახედა ხილით თავმობმულ სინს. მერე გაეხვია საბანში და იმ წამსვე სვრინვა ამოუშვა.

— შენ-კი, ჩურჩხელა ხარ რაღაცა! რა ძალიან თავი მოგაქვს?!—ეუბნებოდა ჩურჩხელას გოზინაუი:—რაღაც უშნოდ გაცრძელებულხარ; ნეტა რას იჭიმები? გგონია შენისთანა აღარავინ იყოს? სევიდან რაღაც ფქვილივით დაგიურიან, ვითომ თეთრი გამოფხნდეთ; ის-კი არა, თუ ძალზე შავი ხარ! აბა გადაიფხიკე ე სევიდან რომ გაურიან, ფქვილია თუ რაღაცა. მაშინ ენახავ—რა შეილიცა ხარ!

— შენ-კი რა დიდი ვინმე ბრძანდები?—გამოეხმაურა ჩურჩხელა:—შენ მე რიღათი მჯობინხარ? დიდი ვინმე ბრძანდება



გოზინაუი! ჯერ ერთი, შენი სასული რომ გავსინჯოთ: გოზინაუი, ესე იგი—დანაუილი ნიგოზი; აბა რა სასულია! დანაუილი... დანაუილი...

— მე არც დანაუილი ვარ და არც დანაუილი. ფუქილი გავრია შედაო: შენ იმდენიც არ იცი, რომ ფუქილი-გი არაა — შაქარია, რომელიც შემძივია, გარედ გ მოდის და შაქრად ძეურება—შათეთრებს. შენ თუ თაფლი სარ გაკეთებული, მე კიდევ ბადაგში, თათარში ვარ ამოვლებული. თაფლი სჯობია, თუ თათარ?

— რასაკვირულია თაფლი,—მიუგო გოზინაუმა:— თაფლი თათარზე გაცილებით ტკბილია, თანაც თაფლის გაკეთებაში დიასახლის არაფერი შრომა არ სჭირდება, მხა-მხარეულად იღებს: მის ფუტკრები აკეთებენ, თათარის გაკეთებაში-გი დიდი ჯაფა სჭირდება: ჯერ უნდა ბადაგი ადულოს, ასლა



ფუქილი საუაროს. კარდა ამისა შენ სთქვი, რომ მე დანაუილი ვარ; სრულიადაც არა,—ხემა ნიგოზი მხოლოდ წვრილად დაჭრილია...

— თუნდა სხვა არაფერი ვსთქვათ,—ჩამოართვა სიტყვა



შეოფირულება.

„ნაკადულის“ რედაქციაში შემოვიდა დასავლეთ-საქართველოში დამშუულთა სსსარგებლოდ აკაკის სახელობის ჰირველ დაწეებით ქალაქის სკოლის მოწეფეებისაგან:

- 1) არჩილ ჯოსაძისაგან—5 კან.
- 2) შალვა სოსონელიძისაგან—20 კან.
- 3) ელიკო ღორთქიფანიძისაგან—30 კან.
- 4) ანდრია ნადირაშვილისაგან—20 კან.
- 5) დომიდე ანთაძისაგან—10 კან.

ჩურჩხელამ:—შენი სიცოცხლე ხან-მოკლეა, შენ მხოლოდ სახალწლოდ გაკეთებენ; რამდენიმე დღის შემდეგ შენი ხსენებაც აღარსად იქნება, მე-კი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვასიამოვნებ ადამიანებს.

აბა თუნდა დათიკოს ვკითხოთ— იმან გაგვასამართლოს!

— კარგი, გაგვასამართლოს, — დაეთანხმა გოზინაუცი.

ჩურჩხელისა და გოზინაუცის დავას დანარჩენი სილი ეურს უკლებდა და ჩუქმუხად სითსითებდა.

ამრიგად დათიკო დასვეს მონასმართლედ. იმანაც ჩამოიკიდა უელზე ჯაჭვი და დაიწყო საქმის გამოძიება...

ჩურჩხელას ვეჟილად თხილი აურჩია და გოზინაუცს-კი—კაკალი.

თარჯიმანებად კამეფტები იუვნენ.

ბევრი თათბირისა და გამოძიების ძერე დათიკომ გამოუცხადა შემდეგი გადანუქვეტილება:

თქვენ ორივენი დამნაშავენი ხართ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცუდ-უბრალოდ აუღლ-მაუღლი ასტეხეთ და ჩხუბი გამართეთ; მეორე— იმიტომ, რომ, თუნდაც ორივენი ძალიან კარგები იუვნეთ, არ უნდა დაიკვეხოთ, რადგან „თავის ქება კიტრად ღირსო“ — ნათქვამია. ამიტომ ორივენი დაისჯებით. მხოლოდ ციუ-ქვეენების ნაცვლად მე გადაგასახლებთ თბილ ქვეენებში.

ამ სიტყვებით იმან ზილო ჯერ ჩურჩხელა, მიირთვა და ძერე გოზინაუით ეელი ჩაიკოკლოხინა. უკვებ დათიკომ თვალეები გააჭვიტა: თურმე ეს სინძარი უოფილიყო.

ამ დროს მოესმა მამის სმა.

„შემოვდგი ფეხი — გწკალობდეთ ღმერთი!“

— ოჰ, შეილო, არა გძინავს? — ვერე ტებილად დამიბურდი! — და ამ სიტყვებით დათიკოს ზირში ჩაუღო გოზინაუცის ნაჭერი.



პატარა ვანო.



ილით აღრე ადგა ვანო,
დაიბანა წაძს ხელ-პირი,
ისაუხმა... და შკოლისკენ
ვაეძურა ჩვენი გძირი.

თოვდა. თანაც ქარი ქროდა,
მიეძიგობდა ზაწაწინა,
მაგრამ ვანო, ჩვენი ვანო,
ისწრაფოდა მანაც წინა.

სელთ ეჭირა „დედა-ენა“,
უბეძი-კი ელა კვერი;
და მიტომაც იყო იგი
კმაყოფილი, ბედნიერი.

ჰა, კიდევაც სკოლაშია
მიცუნცულდა უდარდელი,
მიესალმა მეგობრებსა
და გაკვეთილს მიჰყო სელი.

ზის და სწავლობს ბიჭუნია, —
 ეკლინება მადლი ცითა...
 კარედ თოვლი ფარავს მიწას,
 ქარი უსტვენს მძაფრი სმითა.

დარია ახვლედიანიხა.





ბ ა ვ შ ვ ე ბ ი.



აღო მოვიდა, ლადო! — მოისმა ხმა ესოდან.

— ლადო მოვიდა! — დაიძახა ვიღაცამ სასაღილო ოთახში შამოსკლისათანავე: — ოჰ! დიქროთო! ძლივს.

ძოელი ოჯახი მოუთმენლად ელოდა ლადოს მოსვლას და აი ერთი დღის ლოდინის შემდეგ ეღირსეთ კიდევ ლადოს ნახვა. ვეკლამ მიამურა ფანჯრებს.

ესოში, კარების წინ იდგა კანიერი მარხილი და სამ თოთრ ცხენს ოსძივარი ასდიოდა. მარხილი ცარიელი იყო. ლადო უკვე იდგა წინა ოთახში და ეინვისაგან გაწითლებულ თითებით იხსნიდა ეაბალს. იმის კიძნასიური ჰალტო, ქუდი, კალოშები და თმა საფეთქლებზე დაფარული იყო რთვილით და ისეთი სასიამოვნო სუნი სდიოდა ეინვისა, რომ კაცს ამ ეინვაში გარედ გავლა-გამოვლას მოანატრებდა,

დუდა და მაძიდა მაძინეე მიესვივნენ და დაუწვეეს კოცნა. ნატომ დაუხოქა წინ და დაუწეო კალოშების და ნაბდის ფეხსაცმელის კახდა. დებმა ასტეხეს ჟრიაბული; კარებსაც-კი მაძინ მოუნდა ჭრიალი. ლადოს მაძა ჟილეტის ამარა და მაკრატლით ხელში შემოვიდა აჩქარებით ოთახში და შეძინებული კილოთი მიძართა ლადოს:



— ჩვენ გუშინვე გიცდიდით! რათ დამკვიანეთ? ხომ გად იმგზავრეთ? სომ არა შეგემთხვათ-რა გზამი? აჰ, ღმერთო ჩემო! გაუშვით—მეც მომესალმოს! მე მამა არა ვარ თუ!

— აუ! აუ!— ჰეფედა ბოხის სმით მილორდი, უშველებელი, შავი ძაღლი, კუდს აქნევდა და ამ კუდით ისე სმაურობდა, ასე კვებობდათ კედელს ვიღაცა ჩაქუნს ურტეაშო.

სუველაფერი აირია, საერთო სიხარულის გამოძახებულ ხმად გადაიქცა და რამდენსამე წუთს გავრძელდა. როდესაც ქრიაშული შესუტდა, მკამხნიეს, რომ ლადოს გარდა ოთახში იყო კიდევ ერთი პატარა კაცი, წამოსასხამში და უბაღბანში შესვეული. ის კუთხეში ჩრდილში გაუნძრევლად იდგა.

— შეილო, ეს ვინდა?— ჰკითხა დედაძე ლადოს ჩურჩულით.

— მართლა!— მოაკონდა ლადოს:— გთხოვთ იცნობდეთ,— ჩემი ამხანაგი ცერცვაძე, მეორე კლასის მოწაფე. ჩვენსა სტუძრად მოვიუფანე.

— დიდად სასიამოვნოა თქვენი სტუძრობა!— სიტყვა სიამოვნებით მამამ:— უკაცრავად, შინაურულად განლაგარო, უსერთუკოდ. მობრძანდით! ნატო, უშველეთ ბატონ ცერცვაძეს ზალტო გაინადოს. ღმერთო ჩემო, გაგდეთ ეს შეჩვენებული! კუფით აიკლო აქაურობა.

ცოტახნის შემდეგ ლადო და იმისი მეგობარი ცერცვაძე ისინდენ მაკიდანთან და სიამოვნებით შეექცეოდნენ ჩანს. სამთრის შუე ანათებდა ოთახში და თავის ოქროსფერ სხივებს ახნევდა ოთახის თბილ ჰაერში. ოთახში თბილოდა და უმაწვილები ტანში სასიამოვნო ქრუნტელს კრძნობდნენ.

— აი, ძაღვ მობაც დაგვიდგება,— ამბობდა გაჭიანურებით მამა და თამბაქოს ახვევდა ქაღალდში მოსაწვევად:— დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც დედა ტირილით გაცილებდა, ჰა? აი, მოხვედი კიდევ... მარდად გარბის დრო, ჩემო კარვო! ვერც-



კი მოასწორებ ამოახვრას, ისე წამოკეპარება სიბერე. **ბატონო**
 ცერცვაძე, კოხოვთ მიიროვით! ნუ გვერიდებით: იუავით შინა-
 ურულად.

ლადოს სამი და — კატო, სონა და მამო (უფროსი ამთ-
 კანი კატო თერთმეტი წლისა იყო) — ისინი მავიდასთან და
 თვალს არ ამორებდნენ ახალ ნაცნობს. ცერცვაძე იყო ლადოს
 ხნისა, მაგრამ ისეთი თეთრი და მსუქანი კი არა, როგორც
 ლადო; გამხდარი, მსუ-მოკიდებული და ჭორფლიანი სახე
 ჰქონდა. ჯაგრის მაკვარი თმა, წვრილი თვალები, სხვილი
 ტუჩები, საერთოდ ულამაზო იყო, და გომნაზიური ტანისა-
 მოსი რომ არ სცმოდა, ქუჩის ბიჭს დაემსგავსებოდა. ცერცვა-
 ძე იყო დაღვრემილი, სრულიად არ ლაპარაკობდა და კაცი-
 ნება-კი არა, კადიმებითაც არ გაუდიშია. ამიტომ ლადოს
 დებმა იფიქრეს, რომ ცერცვაძე ძალიან ჰგვიანი და ხასწავლი
 კაცი უნდა ყოფილიყო. სულ რაღაცასე ჰფიქრობდა და ისე
 იყო გატაცებული თავის ფიქრებით, რომ, როდესაც ჰკითხავ-
 დნენ რაიმეს, ვაიქევიდა თავს და კითხვის გამეორებას სთხოვდა.

დებმა ლადოსაც შეატყეს დაღვრემილება: ყოველთვის შინ-
 არული და მოლაუბე, ასლა ცოტას ლაპარაკობდა, აღარ იცი-
 ნოდა, თითქო შინ მოსვლა სრულიადაც არ განარებიაო. ჩაის
 სძინს დროს მხოლოდ ერთხელ მიმართა თავის დებს და ისიც
 რაღაცა უცნაური სიტყვებით; ვაიშვირა ხელი სამოვრისაკენ
 და სთქვა:

— კალიფორნიამი ჩაის მაგივრად „ჯინს“ სვამენ.

ისიც გატაცებული იყო თავის ფიქრებით: როგორც ეტ-
 ყობოდათ — ორივე ერთსა და იმავე ფიქრს დაეჭერო. ჩაის შე-
 მდეკ სუვევლანი წავიდნენ საბავშვო ოთახში. ლადოს მამა და
 დები მოუსხდნენ მაგიდას და გაერთნენ მუშაობაში, რომელიც
 ბავშვების მოსვლისას შესწვეიტეს, აკეთებდნენ ევაუილებს და

სხვა-და-სხვა სამკაულებს ნამუის სისათვის ფერად ქადაგდებიან. ეს იყო სიცოცხლით 'აფსე მუშაობა. ეოველი ახალი ევაილი იწვევდა ბავშვებში სინარულის კიეინას, თითქო ეს ევაილი სეციდან ჩამოვარდნილიეოს; ლადოს მამაც აღტაცებული ლამაზი ევაილით, აგდებდა მკერატელს გავაგურებით, რადგანაც მკერატლის სინლუნგე ვითომ ხელს უშლიდა უფრო კოსტა ევაილის გაკეთებას. დედა გავაგურებული შემოირბენდა სოლმე საბავშვო ოთახში და ჭკითხავდა:

— ვინ აიღო ჩემი მკერატელი? ისეე შენ აიღე, ივანე, ჩემი მკერატელი?

— ღმერთო ჩემო, მკერატელსაც-კი არ იძლევიან! — უბასუხებდა ტირილის სმით ლადოს მამა, გადაწვებოდა სკამზე და ითვისებდა მურაცხეოფილ კაცის სასეს, მკერამ ერთი წამის შემდეგ ისეე აღფრთოვანებული შეუდგებოდა საქმეს.

წინად ლადოც დიდ ამბავში იყო: ნამუის სეს ამკობდა ან კარბოდა ესოში თოვლის გორაკის სანახავად, რომელსაც აკეთებდნენ მეტლე და მწექსი. ახლა-კი ლადომ და ცერცვაძემ არაფერი უურადღება არ მიაქციეს არც ნამუის სეს და არც საჯინბოს; დასხდნენ ფანჯარასთან, მორთეს რადაცაზე ჩორხული. შემდეგ გასსეს გოკრაფიული რუქა და დიდის უურადღებით დაიწეს სინჯვა.

— ჯერ ზერმში... ამბობდა ჩუმი ცერცვაძე, — იქიდან ტუმენში... შემდეგ ტომსკში... შემდეგ... შემდეგ... კამჩატკაზე... იქიდან ხაუბით ამერიკაში... იქ ბევრი ბეწვიანი მსკცია.

— კალიფორნიაში? — იკითხა ლადომ.

— კალიფორნია ქვემოთა... ჯერ ამერიკაში ჩავიდეთ და კალიფორნია შორს აღარ არის. საკვებავის და ტანოსაცმელის შოვნა შეიძლება ნადირობით და მარცვით.



ცერცვაძე მთელი დღე ურიდებოდა ლადოს დებს ქვეშ გამოიციქობოდა, მხოლოდ საღამოს ჩაის შემდეგ ისე მოხდა, რომ სუთიოდე წუთს დაწნა მარტო ლადოს დებთან. სისუბე უხერხული იყო. ცერცვაძემ ჩაახველა მკაცრად, მოიფშინიბა ხელები, შესედა კატოს და ჰკითხა:

— თქვენ წაბკითხავთ „მაინ-რიდი?“

— არა, არ წამბკითხავს... თქვენ იცით „წრიანბით“ ეინულსე სრიალი?

თავის ფიქრებით კატაცებულმა ცერცვაძემ არაფერი არ უბასუხა; კაბბერა ლოკები და ერთი ისეთი ამოისუნჩება, რომ გეგონებოდათ სიცხისსავან იღრბობაო. ერთი კიდევ შესედა კატოს და სოქვა:

— როდესაც კარეული ხარის ჯოკი მბრბის „ბამბასებზე“, მამბინ დედამბწა იბურის და ამ დროს შემბინებული „მესტანგები“ წიხლებს ისგრიან და სვიხვინებენ.

დაღონებულმა ცერცვაძემ გაიღიმა და დაუმბტა:

— ამასთანავე ინლოკლები დაეცემიან სოლმე მბტარებელს, მბგრამ უველასე უარესი „მოსკიტები“ და „ტერმბიტბია.“

— კკ რადაა?

— ეს ჭიანჭველის მბგვარბა, მხოლოდ ფრთებბინებბი; მბლიან იებბინებბინ. იცით მე ვბნა ვარ?

— ბატონბ ცერცვაძე.

— არა, სრულიადაც არა. მე ვარ მონტი-გომბ, ქორბის კლანჭბ *), წბნამბლოლი უმლეველთა.

ალ. გველესბანი.

(დბსასრული იქნება).

*) ამგვარბ სახელებს ირკმევენ ინლოკლებბ.



გოზინაჲი.

(იგავი).



ვდამ საახალწლოდ გოზინაჲი კააკეთა და კასაციებლად სწილენძის ლანგრით თაროსე შედგა. ეს რომ მისმა ჰატარა ციმფია ძალვამ შენიძნა, თავში ასეთი ფიქრები დაებადა: „დედა ხომ სულ სასლში არ იჯდება; როცა გარეჲ კავა, სკამს მივიდგამ, ლანგარს მიუწვდები და გოზინაჲით ჰირს ჩავიკეპრიელებო.

სიქვა და აასრულა: დაიდვა სკამი, შესწვდა ლანგარს და სიცივისაგან გამბერებულ გოზინაჲს დაუწყო თითებით ჯიჯკუნა და კბილებით სრამუნია. მაგრამ ბევრ ხანს არ დასცალეებია სიამოვნება: უხერხულად დადკმული სკამი გადაუბრუნდა, მირს ზღართანი მოსძვრა, ლანგარი თან ჩამოჰყვა და ფეხსე დაეცა. ტკივილისა და შიშისაგან გამწარებულმა ძალვამ სასარელი ტირილი მორთო. ამის გაგონებასე კარედან დედა შემოვარდა.

— რა აძბავია, რა მოხდა, დედა კენაცვალოს, შვილსა ჭკითხა შალვას.

— ისა, რომ კატა თაროსე ასულიყო, გოზინაესა სჭამდა; მე გაუჯანჯრდი; ის მალლიდან გადმოსტა, ლანგარი ძირს გადმოაგდო, მე ფესში დამცა და თვითონ ვარუდ მოჭკურცხლაო, — იცრუა შალვამ.

დედამ-კი ზირველისავე შესედვით შეაძწინა, რომ შალვას ტუჩები თაფლითა და ნიკვზის ნამცეცვებით ჭქონდა მოთხუნელი. მაგრამ მაინც შვილს არ გაურისხდა, ალერსით გული დაუძმვიდა; შემდეგ სარკეში ჩაახედა და დიმილით უთხრა:

— აი, შვილო! მე მჯერა, რომ შენ ძართლის მოქმელი ხარ. ამიტომ შემდეგისთვის ეს ჩემი რჩევაც არ დაივიწყო: როცა ჭნახავ, რომ კატა გოზინაეის ჭამას დაიწყობს, შენ უკუველად ტუჩებზე სელი მიიფარე, რომ თაფლით არ მოკესვაროსო.

აღ. მიჩიანაშვილი.





ზ ლ ა კ ა რ ი.

(ხალხური)



ყო და არა იყო-რა, ღუთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი მოსუცი კაცი და დედაკაცი. ღარიბები იუვნენ: ერთი მიწური ქოხის გარდა არაფერი გახანდათ, შემადეკი არა

ქონდათ. სამთარძი სიცვიით იხოცებოდნენ.

ცოლი ეხუბებოდა მოსუც ქმარს:

— წადი, ცოტა ფინსი მაინც მოიტანე, ვე ბებერი ძველები ვაკითბესო.

წავიდა კაცი ტყეში, აკრიფა ფინსი, სიბურისაგან ძალა არ შესწყვდა: იკიდებს ფინსს და ვერ აუკიდნია. უცნაოდ მიუხსლოვდა ღობი და შვეკითხა:

ბურო კაცო, ისე რა ვაკჭირებია, რომ შემსს ზურვით მიეხიდებიო?

— შე დალოცვილო, დედაკაცმა ჩხუბით ამიკლო: უშეშობის გამო, ღა:ის სახლიდან გამოძვდოს.

შვეცოდა ღობს და უთხრა: წადი სახლში, შემს იქ დაგხვდებაო. განარებული კაცი ვაიქცა სახლში; ეზო საუსე და-

სვდა შემით. რომ უაძბო, როგორც იყო საქმე, ცოლი
 წაეჩსუბა:

— მე საწუალო, ჭკუა არა გაქვს, ისევე სახლი გეითხოვნა, რომ მიწურში სული ამოგვდისო.

დიდი ეოეშნის შემდეგ წავიდა კაცი ლომთან და შეეხვეწა:

— შენი ჭირბიე, ნუ გამოირისხდები, ჩემმა ცოლმა ერთი ამბავი დამაწია—რატომ სახლი არა სთხოვეო.

— წადი სახლში და მიწურის მაცოერ კარგი სახლი დაგისვდება,—უზასუნა ლომმა.

ახლა კაცს სახლიც სომ კარგი აქვს, მაგრამ ცოლი კიდევ არ უსვენებს: —ცარიელი სახლი რათ მიხდა,—სთხოვე სახლი კარგა მოგვიმართოს და სახოვავით აკვივსოსო.

დაღონებული კაცი შესამედ წავიდა ლომთან. ვკონა გამოირისხდება და გამომაგდებსო, მაგრამ უკან-სკნელი თხოვნაც აუსრულა.

გავიდა რამდენიმე ხანი, ცხოვრობენ კაცი და დედაკაცი ბედნიერად. ერთსელ დიდი წვეულება ჰქონდათ. ოთახები სტუმრებით იყო გაჭვდილი. უეცრად ოთახში მოხუცი ლომი შემოვიდა; თვალები მოწურულელი ჰქონდა, ჰირიდან დორბლები ჩამოსდი ოდა; მიუახლოვდა სახლის ჰატრონებს და უთხრა: ეს ხომ ავამენეთ, გავამდიდრეთ; დაუბერდი, და ახლა თქვენ უნდა შემინახოთო.

დედაკაცმა შესვდა და დაიდრივა. უბანა მოსამსახურეებს: „კარეთ ვაითრიეთ: მესისლება, რომ ვუეურებო“

მოსამსახურეებმა ლომი კარედ გაიუვანეს; მაგრამ უეცრად ეს დიდება მოესწოთ და ძველებურად დატაკები დარჩნენ.


ჭირი იქა, ლსინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა.

დ. აბელიშვილი.



თოვლის ფიგურები.

თქვენ სომ მარტო თოვლის კაცის გაკეთება იცით, მაგრამ აბა დაუკვირდით რამდენ რამეს გაკეთება შეიძლება თოვლისაგან: აი, ნახეთ როგორ დასცურავენ ბატები; მხედარიც რა კოხტად ზის ცხენზე.



სოკო სომ საუცხოოდ არის გამოყვანილი. აბა, ამ კოხტა კაცს შეხედეთ. მხოლოდ ბატის კისერს, ცხენისა, სოკოსა, კოხტა კაცის, და სხვ. ფეხების გასამკურებლად ჯოხები უნდა

ჩაუსოთ და შედ შეძობაკრათ თოვლი, თორემ ისე არ გაჩერდება.



საქართველოს
საბავშვო
ლიტერატურის
საქართველოს



თოვლის კაცები.

შ ა რ ა დ ა


(წარმოდგენილი პ. ნიორაძის-შიერ).

ბივი და ცხელი შეერთებული—
 კამოვა მისი შემადგენელი;
 და, თუ მასთანვე ძაღლს მსგავსად
 ერთად იქნება სახელი მდელი.
 მას მამა-პაპა იცავდა მისი
 თავს ევლებოდა ვითა წახიელი.



რ ე ბ უ ს ი


(წარმოდგენილი ირაკლი ფურცელაძის-მიერ).



ბ



”



მ
ტ



”

ნ
ი



მ

საქართვე-
ლოს
კუთხე.

ს



წლის
 $\frac{1}{12}$




ნ
მ



თ

100

თ



ზინაარსი

1913 წ. ჟურნალ „ნაკადულისა.“

მცირე წლოვანთათვის.

ლ ე ქ ს ე ბ ი :

ბ. ახოსპირელი.

მლოცავი თამრო	იხ. № 12
საშნი დანი	„ № 15
ორი მამლაყინწა	„ № 18

ზაბილინა

თოვლის კაცის ოინები	„ № 1
-------------------------------	-------

ლადო გეგეკორი.

სიზმარი (სააღდგომო)	„ № 13
სალამი	„ № 15

ი. გრიშაშვილი.

პაწა ვარდი	„ № 8
ველო	„ № 23

ი. გოგია.

ღარიბი მოწაფე	„ № 2
-------------------------	-------

სევ. კაკაბაძე.

შაღრქას თავგადასავალი	„ № 1
---------------------------------	-------


შოი მღვიმელი.

ჩემი სტუმრები	იხ. № 3
დაიჭირეს ბერი მელა	„ № 5
ნაბია და ბავშვი	„ № 8
გოგოვ, ქეთინო, მომხედე	„ № 9
რა ამბავია?	„ № 11
დიდელა და ვანო	„ № 20
შობის დილა	„ № 24

მათე.

კატა და მელა (ზღაპარი)	„ № 16
„ „ (დისასრული)	„ № 17

მიმქრალი.

ქეთოს შერცხალი	„ № 20
--------------------------	--------

რუხაძე.

პატარა სიმღერა	„ № 4
--------------------------	-------

ი. სიხარულიძე.

ზარს ჩამოკრეს	„ № 6
გუგული და შაშვი	„ № 10
ბეჯითი ლადო	„ № 14
მიხას მარო	„ № 22

გ. ქუჩიშვილი.

მილოცვა	„ № 1
ნაცარა	„ № 15
დედა თავის დარიგება	„ № 21

ა. შანშიაშვილი.

წეროები	„ № 6
ბელურა და კურდღელი (გერმანულით)	„ № 17
ციყვი და კურდღელი, — (გერმანული თ)	„ № 17



შანშე.

კატა, — (გერმანულით)	იხ. № 2
ლოკოკინა და თავგი, — (გერმანულით)	„ № 4

დ. ძიმისტარაშვილი (კორტოხა).

ჩიტ-ბელურა. — (ხალხური ზღაპარი)	„ № 10
„ „ (შემდეგი)	„ № 11
„ „ „	„ № 12
„ „ „	„ № 13
„ „ „	„ № 14
„ „ (დასასრული)	„ № 15

ქ ო თ ს რ ო ბ ე ბ ი :

ბ. ახოსმირელი.

მახვილაკი ქახოსრო	„ № 19
-----------------------------	--------

ელ. ანტონოვსკისა.

სხვის ბინის შტაცებელნი, — (თარგმანი)	„ № 18
კატები, (თარგმანი).	„ № 19

აფხაზი.

ოინი	„ № 13
----------------	--------

ბერალაშვილი.

ბაეშვი და ძალლი, — (ფრანგულით)	„ № 23
--	--------

ვ. ბ

როგორ ეპყრობიან პირუტყვებს ამერიკაში.	„ № 8
---	-------

გიორგი.

შოშია	„ № 17
დორმუცელა, — (ზღაპარი-ხუმრობა)	„ № 21

მ. გარიყული.

სიკეთით გადაუხადა	„ № 1
-----------------------------	-------



ქეთოს დღიური	ივ.	№ 19
ბაბოს სიხარული	"	№ 10
სოფლიდან ქალაქამდის	"	№ 20

ი. გომელაური.

ჩვენი ვირი	"	№ 8
----------------------	---	-----

გერასიმე.

სამი გლაბა	"	№ 8
ღარიბი, — (ხალხური ზღაპარი)	"	№ 23

გრ. გორგაძე.

აღუბალი, — (გადმოკეთებული)	"	№ 17
--------------------------------------	---	------

ს. გუგულიშვილი.

აღონას სიხარული, — (თარგმანი)	"	№ 24
---	---	------

ირ. ევდოშვილი..

შობის ხე	"	№ 2
პირველი ჯამაგირი	"	№ 4
უმკროსი	"	№ 5
თინას ბატკანი	"	№ 7

ივ. ელიაშვილი.

არჩვი	"	№ 3
ბროლიის მოგონებანი	"	№ 4

ვაჟა-ფშაველა.

საჩივარი	"	№ 1
ანდაზა	"	№ 7

ვედრებიხელი.

მოულოდნელი საჩუქარი	"	№ 24
-------------------------------	---	------

თამარშვილი.

პატარა პალაქო	"	№ 1
-------------------------	---	-----



ქეთოს დღიური	„	№ 1
შერცხვენილი სტუმრები	„	№ 7
ჯამბაზი	„	№ 20
სკოლისათვის გამზადებული	„	№ 23

ეფთრი.

გოგის ნიშა მოზვეერი	„	№ 16
-------------------------------	---	------

ლეო იმნაძე.

წითელი ვაშლი	„	№ 5
ლაშაზა	„	№ 14

დ. კილოსანიძე.

შალიკოს სიზმარი	„	№ 6
დავიწყებულ ნათესავეებში	„	№ 22

გ. ლ.

თედო და გოგი (თარგმანი)	„	№ 12
„ „ (დასასრული)	„	№ 13

ალ. შირი: ნაშვილი.

მაიმუნი, — (იგავი)	„	№ 3
------------------------------	---	-----

მაგიტა.

დათვი და ბავშვი, — მოთხრობა რობერტისა (თარგმ.). „	„	№ 14
---	---	------

შაკა.

კრაზანას დღიური, — (თარგმანი)	„	№ 16
---	---	------

ალ. ნათაძე.

სახლის ანგელოზი, — (ზღაპარი)	„	№ 3
„ „ (დასასრული)	„	№ 4

იტა ნაკაშიძე.

მუქთა ხორა მცენარეები (სამეცნიერო) შედგენილი . . .	„	№ 21
„ „ (შემდგენი)	„	№ 22
„ „ (შემდგენი)	„	№ 23

ნიწო ნაკაშიძე.

კრემლები,—(თარგმანი)	თბ.	№ 7
ბავშვები, პიესა ერთ მოქმედებად	"	№ 22

ნ.

ულუაშა—ხეკვეთია, სამეცნიერო (თარგმანი)	"	№ 15
--	---	------

გრ. პარკაძე.

იშვიათი სტუმარი	"	№ 16
---------------------------	---	------

ივ. ჩოხტომაშვილი.

ცხენი და ვირი,—(თარგმ.)	"	№ 2
ზაზუნა,—(თარგმ.)	"	№ 5
ბატკანი და მგელი,—გადმოკეთებ)	"	№ 8

ილია რუხაძე

ძმები	"	№ 12
-----------------	---	------

ჩახე ჩაქველი.

შხედრობის უკანასკნელი განხილვა,—(თარგმ.)	"	№ 3
--	---	-----

ი. სიხარულიძე.

თესე!.. კაფე!..	"	№ 11
-------------------------	---	------

ირაკლი ფერაძე.

მეტჩიზარა,—ერთმოქმედებიანი პიესა, (გადმოკეთებ.)	"	№ 9
" " " (შემდეგი)	"	№ 10
" " " (ლასასრული.	"	№ 11

ლიო. ქიაჩელი.

ფაცურა და გიშერა	"	№ 6
არსენას სიხარული	"	№ 9
ნატერის თვალი	"	№ 18



ე. პ.

თევზაობა	ობ. № 13
ახალი მანქანა	„ № 21

მ. ხუციშვილი.

კაცი და გველი,—(ხალხური ზღაპარი)	„ № 18
--	--------

გ. ჯ—რი.

შექუდე და მიმუნე,—(ფრაგულით)	„ № 6
--	-------

კამოჩენილ ადაშიანთა ცხოვრება.

იროდიონ ევდოშვილი,—ლეონარდოსი	„ №
ვლადიმერ ალექსი-მესხი შვილი.—ნ—ისა	„ №

სხვა-და-სხვა ამბები.

ჯუმბო.	„ № 2
მაისის კავშირის წევრის მოვალეობა.	„ № 20

მკითხველის წერილები.

წერილები რედაქციის მიმართ.	„ № 6
„ „ „	„ № 9
„ „ „	„ № 11
„ „ „	„ № 12
„ „ „	„ № 13
„ „ „	„ № 14
„ „ „	„ № 17
„ „ „	„ № 18
„ „ „	„ № 20
„ „ „	„ № 24



კ ა რ ი კ ა ტ უ რ ე ბ ი .


ეშმაკი მგელი იხ. № 21

ეველ ნომერში მოთავსებულია:

პირველ გვერდზე სხვა-და-სხვა გამოჩენილ მხატვართა სურათები, ყოველ ნომერში არის გასართობი: შარადები, შ. მღვიმელისა, პ. ნიორაძისა და სხვ. რებუსები, ამოცანა-გამოცანები, გამოცანები და სხვ.

დ ა მ ა ტ ე ბ ა .

შინაარსი 1912 წლის ეურნალ ნაკადულისა № 1



გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის



ყოველ-ღლიური საზოლიტიკო და სალიტერატურო

„სასალსო გაზეთი“^{ს-ზე}

წელიწადი მესუთე

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამო-
დიოდა და გაზეთს ექნება

კვირაობ. **სურათიანი ღამაბევა** კვირაობ.

წლიური ხელის მომწერნი

ზრემიად მიიღებენ სამს წიგნს

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები,“ რომელშიაც დაბეჭდი-
ლი იქნება: 1. „უგვირგვინო მეფენი“ ისტორიული დრამა
ხუთი მოქმედებად **სანდრო შანშიაშვილისა**. 2. „ჩიშქრალი
შარვანდეთი“ ისტორიული რომანი **გ. ბარნოვისა** და სხვა.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები,“ რომელშიაც დაიბეჭდება:
„**დონ-კარლოსი**,“ ტრაგედია შილერისა, თარგმანი გერმანუ-
ლით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხო-
ეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: საბეჭდო კრებული.

ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

ცალკე ნომერი ეუკლებან **5** კაპ. დაძაბებინი **7** კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ-გარედ, ან ქალაქ-
გარეთისა ისევ ქალაქ-გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრე-
სის გამიცვლა უფასოა. იმ ხელის მომწერმა, რომელიც სამივე პრემიის
მიღებას ფოსტით მოისურვებს გასაცხადებ სარჯად უნდა გამოთვანოს
ხელის მოწერის ფასთან ერთად კიდევ სამი აბაზი. ვინც რედაქციის კან-
ტონში მიადებს პრემიას, იმას უს ფუდი არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლავრ ხელის მოწერთ გაზეთისა
(8 მან. 50 კაპ.) შეუკლავით გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცი-
ლებლად შემდეგ ვადებზე: ხელის მოწერისათვისავე 3 მან., 1 აბრილამდე
2 მან., 1 თებერვამდე 2 მან., 1 ენკენისთვეამდე 1 მან. 50 კაპ., 2)
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ
სრულა თვეებით და არა უმეტეს 1 წლის განულისა.

ხელის მოწერა გამართულია: 1) „სასალსო გაზეთი“-ს კანტონ-
ში (სასალსის ქუჩა, სარჯიშვილის სხლი). დილას 9 ს.-დან საღ. 8
ს.-მდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисть, Груз. газ. „Сахалхо газети“
поч. ящ. 190.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურთებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე

საქონლური
ინფორმაცია

→ წელიწადი მიათა →

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა:

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

36 სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

სახეურად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრველი მთები“ (მრავალა სუნათებით) გიორგი ანთელიძისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნახევარ წლით—3 მან.; ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის

24 წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით 7 მ. ნახევარი წლით 4 მ.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით. ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8; შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში — ისიდორე ვეიცარიძესთან, მ. ყაუხჩი შვილთან და თ. მთავრიშვილთან. ხამტრედიაში — ვლ. ნაცვალაძესთან. — შოთში — თეოფილე კანდელაკთან. ბათომში — ენ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში — ლანჩხუთში — ლეო იმნაძესთან. თელავში — ვასო პაატაშვილთან. ახალციხეში — კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში — ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. გორში — ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. სოხუმში — ენ. მარია მანაძესთან. ქიათურაში — ივანე გომელაურთან. ვანჯაში — ბ. ამბოქაძესთან. ერევანში — ე. ოდიშარიასთან. სიღნაღში — ნ. ახმეტელაშვილთან. ყარსში — ივ. საათაშვილთან. ალექსანდროპოლში — ს. შატბერაშვილთან. როსტოვში — მ. კლიშიაშვილთან. ხონში — მ. ი. კავკანიძესთან. რაჭაში. — მასწავლებელ ილიაგოგისთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი